სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

51 ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
0102 თბილისი, საქართველო
1505
info@ssa.gov.ge

10 დეკემბერი 2025

SSA 6 25 01420603

სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს"

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ 2025 წლის ანგარიშს:
ა) საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის შესახებ 2025 წლის განმავლობაში შემოსულია - 71 განცხადება. მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობაა - 0;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებათა რაოდენობაა - 0;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, „სოციალური დახმარების შესახებ“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებების („სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“- 2012 წლის 23 ივლისი, N279; პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით და განხორციელდა შემდეგი ბაზებიდან:

1) სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზა;

2) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა;

3) სხვა სოციალური დახმარების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზები;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ რაოდენობაა - 0;

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოცემულა;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახების ოდენობაა - 0.

პატივისცემით,

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
გიორგი ჭანტურია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად